

#7, ივლისი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



ფონდ „პირველი ნაბიჯის“ მრავალი ნაბიჯი

ბრიტიშ პეტროლიუმის კომუნიკაციისა და საგარეო საქმეთა ოფიცერმა მეთიუ ტეილორმა ფონდ „პირველი ნაბიჯის“ დასახმარებლად ორიგინალური საქველმოქმედო აქცია წამოიწყო – 25-28 ივლისს იგი მეგობრებთან ერთად ყაზბეგის მწვერვალზე ასვლას გეგმავს. ამ აქციის მხარდასაჭერად გახსნილია სპეციალური ვებ-გვერდი

<http://www.justgiving.com/matttaylor1> ,

სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია საკუთარი წვლილი გაიღოს და გადარიცხოს თუნდაც მინიმალური თანხა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს მოხმარდება.

კონკრეტულად კოჯორში ახლად გახსნილ ბავშვთა სახლის წყლით მომარაგების სისტემის გამართვას მოხმარდება. ამ სახლში ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

(გაგრძელება)

ისინი კასპის ინსტიტუციიდან არიან გადმოყვანილები, მათ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ. საქველმოქმედო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი“ (www.fjs.ge), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში, აქტიურად ჩაერთო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წამოწყებაში – კასპის ბავშვთა სახლის რეორგანიზაციის პროგრამაში. მისი მიზანი იყო კასპის ბავშვთა სახლის დაცლა, ბავშვების შეილობილობა, ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება და დარჩენილი ბავშვების



განთავსება კოჯრის ყოფილი ბავშვთა სახლის ბაზაზე, ამ პროგრამის ფარგლებში მოხდა კოჯრის ბავშვთა სახლის აღდგენა. ეს პროგრამა ფონდისთვის კასპის ბავშვთა სახლის დახმარების პროგრამის გაგრძელებაა. „პირველი ნაბიჯის“ დაარსება სწორედ კასპის ბავშვთა სახლს უკავშირდება – გასული საუკუნის 90-იან წლების უმძიმეს პერიოდში კასპის ბავშვთა სახლში (ე.ი. ახალქალაქის ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში), ზამთრის ცივ დღეებში ბევრი ბავშვი დაიღუპა სიცივის, არასაკმარისი კვებისა და ცუდი მოვლის გამო. გადარჩენილი, მაგრამ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ბავშვები, ფონდის დამაარსებლებმა ჯერ გურამიშვილის საავადმყოფოს პედაიატრიულ კლინიკაში რეაბილიტაციისთვის განათავსეს, შემდეგ კი მათ საცხოვრებელზე დაიწყეს ზრუნვა, რათა ბავშვებისთვის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების პირობები შეექმნათ. კასპის ბავშვთა სახლის რეორგანიზაციის პროგრამის გარდა ფონდი დღეს რამდენიმე პროგრამას ახორციელებს:



საცხოვრებელი პროგრამა – „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფლის ოჯახური ტიპის სახლებში ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. დღეს ბავშვთა სოფელში 24 ბავშვზე ზრუნავენ.
სასწავლო პროგრამა – შემუშავდა ბავშვთა უნარებთან მისადაგებული სასწავლო პროგრამა, რომლითაც „პირველი ნაბიჯის“ სასწავლო დღის ცენტრში

სწავლობენ „პირველი ნაბიჯის“ სოფელში მცხოვრები ბავშვები, ასევე თბილისის მასშტაბით ოჯახებში მცხოვრები ბავშვები (სულ 30 ბავშვი). გარდა ამისა, „პირველი ნაბიჯის“ აღსაზრდელები სწავლობენ თბილისის სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (სულ 13 ბავშვი).

ბავშვთა განვითარების პროგრამა – პროფესიონალთა გუნდი მუშაობს ბავშვების საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ბავშვების ოჯახებში დაბრუნებისა და პრევენციის პროგრამა – „პირველი ნაბიჯის“ სოციალური მუშაკების ძალისხმევით 15 ბავშვი დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახს. 3 ბავშვის ბავშვთა სახლში განთავსების აცილება მოხერხდა.



პროფესიული მომზადების პროგრამა – „პირველი ნაბიჯში“ ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომვლელთა და მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამა.

პროფესიული უნარების სწავლისა და დასაქმების პროგრამა – ეს პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას.

ბავშვების ოჯახებში მომსახურება – ეს პროგრამა გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახებში მოვლასა და მათი უნარების განვითარებას.

მშობელთა მობილიზაციის, ტრენინგებისა და კონსულტირების პროგრამა.

დროებითი ადგილსამყოფელი – ფონდი გეგმავს განვითაროს მომსახურების ახალი სახე, რომელიც მშობელთან წინასწარ შეთანხმებული ვადით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სპეციალურ ცენტრში გადაყვანას ითვალისწინებს.

მვირფასო მეგობრებო,
გთხოვთ, გულისხმიერებით მოეკიდოთ მეთიუ ტეილორის ორიგინალურ საქველმოქმედო აქციას, ეწვიეთ მის ვებ-გვერდს (<http://www.justgiving.com/matttaylor1>) და მხარი დაუჭიროთ მას თუნდაც მინიმალური შემოწირულობით ან უბრალოდ, გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენს მეგობრებს შორის

გამოფენა-გაყიდვა

28 ივნისს, ბამბის რიგისა და შარდენის ქუჩების გადაკვეთაზე, სიონის ბაღში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სოციალური თერაპიის სახლის, მ. ასათიანის სახელობის



ფსიქიატრიის სსკ ინსტიტუტის კლინიკის, არტ-თერაპიული სახელოსნოს და ასოციაცია „ანტი-სტიგმა“ ბენეფიციართა ნამუშევრები – ფერწერა, გრაფიკა, ხელნაკეთი აქსესუარები და სხვადასხვა საოჯახო დეკორატიული ნივთები. გამოფენის პარალელურად ისმოდა კლასიკური მუსიკა,



რომელსაც სიმფონიური კვარტეტი ასრულებდა. ღონისძიება გაიმართა ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისის“ ინიციატივით. იგი ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების და საჯარო პოლიტიკის რეფორმის პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს DFID (საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი) და ახორციელებს

Adam Smith International და UGPN. გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ნამუშევრებს და დარწმუნებულიყვნენ, რომ თანაბარი განვითარებისა და თვითრეალიზაციის შემთხვევაში ამ ადამიანებს ბევრი სასარგებლო საქმის კეთება შეუძლიათ. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა სოციალურ ადაპტაციას და ინტეგრაციას საზოგადოებაში.

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები.
ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობა

3 ივლისს „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობა მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის: საჭიროებები, პრობლემები, გადაჭრის გზები“.



კონფერენციის ორგანიზატორი იყო ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ და მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ანალიტიკური ანგარიში, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სამედიცინო-სოციალური საჭიროებების შემსწავლელი კვლევის შედეგები. კვლევა 2008 წლის განმავლობაში ჩატარდა და მისი მონაცემებით 2007 წელს საქართველოში ოფიციალურად აღრიცხვაზე 106.9 ათასი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირია, ეს მონაცემი ფსიქიატრიული დაწესებულების მიმართვის მაჩვენებელს ასახავს, ამიტომ მკვლევარები მიიხსენებენ, რომ აშლილობის მქონე პირთა რიცხვი გაცილებით დიდია.



კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების მკურნალობის და დახმარების სამსახურები არასაკმარისი და არაეფექტურია. გამოიკვეთა

შემდეგი პრობლემები: მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა; პროფესიული რესურსების დაბალი კვალიფიკაცია. სოციალურ ინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე მიმართული სამსახურების სიმცირე. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების სახელმწიფო ფსიქიატრიულ პროგრამებში არაპრიორიტეტულობა, რასაც ცხადყოფს ფსიქიატრიის არსებული ბიუჯეტის განაწილება. ორგანიზატორებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს რეკომენდაციები, კონკრეტულად საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის არსებული პოლიტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელთა გაუმჯობესება პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს – 1. ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპონენტის გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის დონეზე. 2. ბალანსირებული ზრუნვის მოდელი – მკურნალობისა და მზრუნველობის უზრუნველყოფას სახლთან ახლოს, თემის ფარგლებში. მწვავე შეთხვევებში რეზიდენტულ დაწესებულებებში. 3. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა შესაძლებლობების აღიარება. 4. ფსიქიკური ჯანმრთელობის ბიუჯეტის გაზრდა. კონფერენციაზე ამ საკითხების ირგვლივ გაიმართა კამათი. ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის ჭრილში საერთო ხედვის შესამუშავებლად კონფერენციის მონაწილეებმა იმუშავეს თემაზე – ფსიქიკური ჯანდაცვის ჰოსპიტალური და ჰოსპიტალგარე მომსახურების ეფექტურ მოდელზე.

საკონკურსო განაცხადი

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში კლინიკური პრაქტიკის შეფასების განსახორციელებლად ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 3 ივლისი, 2008
ან

<http://www.civilin.org/welfare>


პრესის მონიტორინგი



გამოქვეყნდა 3, ხოლო უფლებების შესახებ 8 ინფორმაცია | პუბლიკაცია, საგანმანათლებლო საცნობარო 1 მასალა დაიბეჭდა კონკრეტული კი 5 ისტორია.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები.




- მზრუნველობამოკლებული
- ობოლი
- სმენადაქვეითებული
- ყრუ-მუნჯი
- ინვალიდი
- ქუჩის ბავშვი
- უსინათლო
- გონებაშეზღუდული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული
- სოციალურად დაუცველი ბავშვები
- შეზღუდული უნარების მქონე
- მაწანწალა
- უპატრონო
- ცერებრალური დამბლით დაავადებული

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

ივნისის განმავლობაში გამოქვეყნდა 32 პუბლიკაცია | ინფორმაცია.



- ახალი თაობა
- რეზონანსი
- 24 საათი
- ალია/ქრონიკა
- სარკე
- თბილისელები

თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას | საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 10 პუბლიკაცია | ინფორმაცია, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დაიბეჭდა 5 წერილი, სხვადასხვა პროგრამების | პროექტების შესახებ

საკონკურსო განაცხადი

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში ახალი სასწავლო ცენტრების პროფესიონალური სასწავლო პროცესში მხარდაჭერა/კონსულტირებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 3 ივლისი, 2008 ან <http://www.civilin.org/welfare>

